რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის მაისი

TDI

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის მაისი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2025 წლის **მაისის პერიოდს.**

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის

2024 წლის ანგარიშები:

წინაასარჩევნო პერიოდი

25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე

25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე

არჩევნების შემდგომი პერიოდი

26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე

26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე

2025 წლის ანგარიშები:

26 დეკემბერი, 2024 - 2025 წლის 31 იანვარი

თებერვალი

მარტი

აპრილი

ფოტო გარეკანზე: ნინი გაბრიჭიძე , civil.ge

სარჩევი

მთავარი ტენდენციები 4

1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით პოლიტიკური მანიპულაცია 6

1.1. „ქართული ოცნების“ ფსევდორელიგიური ნარატივი ქრისტიანობისა და „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვასთან დაკავშირებით 6

1.1.1. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 8

1.1.2. ანტისეკულარული, პოპულისტური განცხადებები 9

1.2. ანტიდასავლური გზავნილები 10

1.2.1. დასავლეთის დემონიზება 10

1.2.2. აშშ-ს დადანაშაულება 12

1.2.4. დასავლური ფონდები, არასამთავრობო სექტორის საქმიანობისა და დაფინანსების საკითხი 14

1.3. ჰომოფობიითა და „ოჯახის სიწმინდით“ მანიპულაცია 17

1.3.1. 17 მაისი 17

1.3.2. სამოქალაქო აქტივისტების დისკრედიტაცია 19

1.4. „ქართული ოცნების“ პროპაგანდა ქართულ დიასპორასთან მიმართებით 20

2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე 21

2.1. განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და პატიმრებზე 21

2.2. განცხადებები ოჯახის სიწმინდესა და ჰომოფობიაზე 24

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის ჰომოფობიური და ანტიდასავლური განცხადებები 25

მთავარი ტენდენციები

სააანგარიშო პერიოდში შენარჩუნდა ტენდენცია, რომელშიც „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური, ანტიდემოკრატიული და ფსევდორელიგიური პროპაგანდა მათი პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აგრძელებს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მართლმადიდებლობის ინსტრუმენტალიზებას, ხოლო დასავლელი პარტნიორების წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას ხშირად თან ახლავს ფსევდორელიგიური რიტორიკით შენიღბული ენა.

ძირითადი ტენდენციებია:

- **„ქართული ოცნების“ ფსევდორელიგიური მანიპულაცია და ანტიდასავლური განცხადებები** – მმართველი პარტიის რიტორიკა კვლავ მიზნად ისახავს მართლმადიდებლობისა და ე.წ. ტრადიციული ღირებულებების დაცვის სახელით, დასავლეთის დემონიზებას. ფსევდორელიგიური დისკურსით „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ლეგიტიმაციას ანიჭებს საკუთარ ანტიდემოკრატიულ დღის წესრიგს და ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზაციას. „ქართული ოცნების“ რიტორიკა ეყრდნობა „რუსკი მირის” (რუსული სამყარო) კონცეფციას, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება ანტილიბერალური და ანტიდემოკრატიული სამყაროს პარადიგმას. წინა პლანზე წამოწეულია სარწმუნოებისა და ეროვნულობის დაცვის იდეები, მაგრამ მათი მიზანი დასავლეთის სახით, მტრის ხატების შექმნა და გავრცელებაა. პარტნიორი ქვეყნების კრიტიკული პოზიცია „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიულ და ანტიკონსტიტუციურ ქმედებებზე, მათ მიერ წარმოჩენილია, როგორც საფრთხე ეროვნული იდენტობის, მართლმადიდებლობის, ტრადიციებისა და სუვერენიტეტისთვის. გარდა ამისა, „ქართული ოცნება“, მისი სატელიტები და პროპაგანდისტები იყენებენ ისტორიულ ფაქტებს კონტექსტის გარეშე, რათა დღევანდელი ლიბერალური დემოკრატიები წარმოაჩინონ, როგორც ავტორიტარული და რეპრესიული იდეოლოგიების პოტენციური გამგრძელებლები. ბოლშევიზმთან და ფაშიზმთან პარალელები მიზნად ისახავს საზოგადოებაში სკეპტიციზმის გაღვივებას ევროკავშირისა და დასავლეთის მიმართ.

- **არასამთავრობო სექტორისა და დონორების დისკრედიტაცია** – უცხოური დაფინანსების, განსაკუთრებით აშშ-ის და ევროკავშირის მხარდაჭერილი პროგრამების წინააღმდეგ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აგრესიულ ანტინარატივს ავითარებს. ე.წ. „დიპ სტეიტის“, „ლიბერალური ფაშიზმისა“ და „მტრული გავლენების“ დისკურსი საფუძვლად უდევს პარტნიორი დასავლური ფონდების და მთავრობების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აქტივისტების წინააღმდეგ კოორდინირებულ შეტევებს.

- **პოლიტიკური ჰომოფობია** - 17 მაისი, როგორც ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, კვლავ გამოიყენება „ქართული ოცნების“ მიერ ფსევდორელიგიური ნარატივების გასაძლიერებლად. „ოჯახის სიწმინდის დღის“ საზეიმო აღნიშვნა, მასში საჯარო მოხელეების ჩართვა და თანმდევი განცხადებები ასახავს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან ჰომოფობიური დღის წესრიგის ლეგიტიმაციას.

- **დადებითი ტენდენცია: მართლმადიდებელი სასულიერო პირების წინააღმდეგობის ხმები** – მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ნაწილი კვლავაც ღიად აკრიტიკებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების რეპრესიულ და ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას. ისინი მკაფიოდ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას პოლიტპატიმრების საკითხთთან, ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაციასა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით. მათი განცხადებები მნიშვნელოვან სივრცეს ქმნის მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით არსებული განსხვავებული ხედვების საჩვენებლად.

- **ანტიდემოკრატიული დისკურსის საეკლესიო ლეგიტიმაცია:** მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აგრძელებს, როგორც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას.

1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით პოლიტიკური მანიპულაცია

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ კვლავ მანიპულირებდა ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენდა ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ ერთადერთ პოლიტიკურ ძალად. ამ კონტექსტში, „ქართული ოცნების“ განცხადებებით, „გარე ძალა“, „დიპ სტეიტი“ და „ლიბერალური ფაშიზმი“ საქართველოში ებრძვის მართლმადიდებელ ეკლესიას და მისი მიზანი „ეროვნული და რელიგიური იდენტობის“ წაშლაა. ასევე, „ქართული ოცნების“ ლიდერები საქართველოს წარმოაჩენენ იზოლაციურ კონტექსტში, სადაც თითქოს ეროვნული და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

საანგარიშო პერიოდში მთავარი თემები, რომლებზეც „ქართული ოცნება“ ანტიდასავლურ პროპაგანდას აგებდა, უკავშირდებოდა „ოჯახის სიწმინიდს დღის“, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას. „ქართული ოცნების“ მიერ ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაციასა და პოლიტიკურ რეპრესიებზე საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა: *„ეს მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისთვის, ჩვენი ტრადიციებისთვის. ისინი დადიან ეკლესიაში, უჭირავთ უზარმაზარი სანთლები და ამ დროს სრულიად უდანაშაულო ქალების წინააღმდეგ მიდის ასეთი ბარბაროსობა.“*

1.1. „ქართული ოცნების“ ფსევდორელიგიური ნარატივი ქრისტიანობისა და „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვასთან დაკავშირებით

„ქართული ოცნების“ დისკურსის მიხედვით, „ქართულ ოცნებას“, როგორც სარწმუნოებისა და ეროვნული იდენტობის დამცველ ძალას, უპირისპირდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, კრიტიკული მედია და ოპოზიციური პარტიები, რომლებიც, მათი მტკიცებით, ებრძვიან ქართულ ტრადიციებს, „დედა ეკლესიას“, პატრიარქს და ეროვნულ ღირებულებებს. ამავდროულად, პარტნიორი ქვეყნების კრიტიკული პოზიცია „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიულ და ანტიკონსტიტუციურ

ქმედებებზე, მათ მიერ წარმოჩენილია, როგორც საფრთხე ეროვნული იდენტობის, ღირებულებების, ტრადიციებისა და სუვერენიტეტისთვის.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, სიტყვით გამოსვლა პარტია „ქართული ოცნების“ მეცხრე ყრილობაზე, 7 მაისი: „ბუნებრივია, ამ არაჯანსაღი გლობალური პოლიტიკური პროცესების მიღმა ვერც საქართველო აღმოჩნდებოდა და შესაბამისად, მთელი 13 წლის განმავლობაში, ჩვენ გვიწევდა და გვიწევს უკომპრომისო ბრძოლა: საქართველოს სუვერენიტეტისთვის, ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობისთვის; გვიწევს ბრძოლა: **ქრისტიანობის დასაცავად,** მშვიდობის შესანარჩუნებლად, **ტრადიციული ღირებულებებისა** და საზოგადოებრივი მორალის განსამტკიცებლად. ეს არის უთანასწორო ბრძოლა, სადაც უპირატესობის შენარჩუნების შესაძლებლობას მხოლოდ სიმართლე გაძლევს“.

ნინო წილოსანი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 16 მაისი: „სწორ დროს დავაბრუნეთ და ძალიან კარგად დავიცავით **ჩვენი სარწმუნოება**, ფაქტიურად ჩვენი მორალური და სულიერი ღერძი, თუ გაიხსენებთ საოცარი ბრძოლები გამოიარა ეკლესიამ და საპატრიარქომ, გადაცემა გადაცემაზე კეთდებოდა და მთელი მიზანმიმართული კამპანიები იყო მათ შორის სამწუხაროდ იმ დროინდელი ომბუდსმენი ქალბატონი ნინო [ლომჯარია] პირდაპირ იყო ჩართული ეკლესისა და პატრიარქის გაშავების საქმეში და ნუ შიგნიდანაც უამრავი ადამიანი გამოიწვიეს იმისთვის, რომ შიგნიდან დაენგრიათ ეკლესია....“

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, მიმართვა სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას, ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღისადმი მიძღვნილ პარაკლისზე, 17 მაისი: „ბრძოლა გრძელდება **ტრადიციული ფასეულობებისთვის**. ეს ბრძოლა არ არის იოლი. არიან ძლიერი ძალები, რომლებიც უპირისპირდებიან ტრადიციულ ფასეულობებს, ქმნიან **ყალბ იდეოლოგიებსა** და ფასეულობებს და ჩვენი ვალი და პასუხისმგებლობაა, რომ **დედა ეკლესიის** მხარდამხარ ვიბრძოლოთ ეროვნული ფასეულობების დასაცავად.“

ირაკლი კობახიძე, 17 მაისი: „მე დღეს, კიდევ ერთხელ მინდა ყველას მოგცეთ პირობა, რომ ხელისუფლება ბოლომდე იდგება **ჩვენი ტრადიციული ფასეულობების** და ჩვენი ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე“.

გია აბაშიძე, „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტი, ანალიტიკოსი, 17 მაისი: „სად დგას საქართველოს საზოგადოება? იქ, სადაც ღირსებაა, თავისუფლების მოყვარეობაა, სუვერენიტეტის განმტკიცება და **დედა ეკლესიაა,** ეს წლევანდელმა ოჯახის სიწმინდის დღემაც დაადასტურა. სხვადასხვა სოციალური ფენის, ასაკის, კონფესიის ასიათასობით ადამიანმა მხოლოდ თბილისში შეკრებით თქვა - სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა! წყალს გაჰყვება გარედან თავსმოხვეული ნებისმიერი **ფსევდოფასეულობა** და **თავხედური ინსტრუქცია**...“

1.1.1. 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან 107 წელი გავიდა[1]. ეს დღე საქართველოში მზარდი საერთაშორისო იზოლაციის, დემოკრატიის უკუსვლისა და ავტორიტარული მმართველობის გაფორმების პირობებში აღინიშნა.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ცერემონია თბილისის თავისუფლების მოედანზე ჩაატარეს და საზოგადოებას სიტყვით მიმართეს. „ქართული ოცნების“ რიტორიკა აქაც გაჯერებული იყო ფსევდორელიგიური და ანტიდასავლური ნარატივებით.

> მიხეილ ყაველაშვილი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი, 26 მაისი: „სწორედ ამ იდეისთვის მამა-პაპათა ბრძოლამ შემოგვინახა სამი ღვთაებრივი საუნჯე: **მამული, ენა, სარწმუნოება**, რომელთა დაცვაც თითოეული ჩვენგანის ვალია. თუ ამ სამიდან რომელიმე გამოაკლდება, ჩვენ დავკარგავთ მთავარ იდეას, რომელსაც საქართველო ჰქვია. [...]ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, თუ რამდენად ამაოა რომელიმე **უცხო ძალის ლოდინი,** რომელიც მოვა და გადაგვარჩენს, ჩვენს გასაკეთებელს გააკეთებს, ჩვენზე უკეთ ეცოდინება, თუ რა სჭირდება ჩვენს ხალხსა და ქვეყანას.“

> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 26 მაისი: „...დღესაც ჩვენი მთავარი ორიენტირი ის სამი ღვთაებრივი საუნჯეა, რომელიც

[1] 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებელმა პირველმა რესპუბლიკამ არსებობა 1921 წლის თებერვალში შეწყვიტა, ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო აგრესიის და ოკუპაციის შედეგად. 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა.

დღემდე მოგვიტანეს და მოსავლელად გადმოგვაბარეს ჩვენმა წინაპრებმა – ჩვენი მამული, ჩვენი ენა და ჩვენი სარწმუნოება… ჩვენ ვართ სარწმუნოების ერთგული ხალხი. ჩვენი ეროვნული ენერგია მოდის თითოეული ადამიანის რწმენიდან და ერთგულებიდან, განურჩევლად აღმსარებლობისა თუ ეთნიკურობისა. **უღმერთო, უდიერი, დამცინავი და უცხო ღირებულებების** მოტრფიალე ადამიანი ვერასდროს იქცევა სამშობლოს პროგრესულ და მაშენებელ ძალად.“

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 26 მაისი: „ჩვენი სიამაყეა ჩვენი სამშობლოს თითოეული ულამაზესი კუთხე - ულამაზესი ბუნებითა და ულამაზესი ადამიანებით; ჩვენი სიამაყეა ჩვენი უნიკალური ენა და დამწერლობა; ჩვენი სიამაყეა საქართველოს **დედა ეკლესია,** რომელიც ყოველთვის იყო და დღესაც არის საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი. დღევანდელ დღეს, კიდევ ერთხელ მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ჩვენს წმინდა ეკლესიას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს - ილია მეორეს, რომელმაც თავისი სიბრძნითა და ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.“

1.1.2. ანტისეკულარული, პოპულისტური განცხადებები

პოპულისტური მიზნებისთვის ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაციის გარდა, „ქართული ოცნება“ ანტისეკულარულ განცხადებებსაც ავრცელებდა. მაგალითად, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ *„საქართველო, და მისი სამოციქულო და ავტოკეფალიური ეკლესია, ერთმანეთთან თანაშეზრდილი და ერთმანეთისგან განუყოფელია“*. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომელიც ეხება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობას, აღიარებს *„საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.“* „ქართულმა ოცნებამ“ კი, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიისას, გამოაცხადა პოპულისტური შინაარსის ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვისა და მისი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების რისკებს შეიცავდა.

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 30 მაისი: სიტყვით გამოსვლისას კონფერენციაზე, რომელიც ნიკეის პირველი მსოფლიო კრების 1 700 წლის იუბილეს მიეძღვნა. „ჩვენი ეკლესია ჩვენი სახელმწიფოს უძველესი ინსტიტუციაა, რომელიც განუყოფლადაა გადახლართული ჩვენი ერის სვე-ბედში. ქართველი ერი, მისი სამშობლო, საქართველო, და მისი სამოციქულო და **ავტოკეფალიური ეკლესია, ერთმანეთთან თანაშეზრდილი და ერთმანეთისგან განუყოფელია.** ვერც ერთმა მტერმა ვერ შეძლო მათი განცალკევება და ერთმანეთისგან გაგლეჯა. სწორედ ამ ერთობაშია ჩვენი ჭეშმარიტი ძალა.“

1.2. ანტიდასავლური გზავნილები

„ქართული ოცნება“ სისტემატურად ავითარებს პროპაგანდისტულ დისკურსს **„გლობალური იდეოლოგიის“** არსებობის შესახებ, რომელიც საქართველოში სუვერენიტეტს, მართლმადიდებლობას და ოჯახურ ღირებულებებს ებრძვის. ამ კონცეფციისთვის, ისინი კვლავინდებულად იყენებენ სხვადასხვა ტერმინს: „დიპ სტეიტი“ „ლიბერალური ფაშიზმი“, „გავლენიანი ძალები“ და „გარე ძალები“. სინამდვილეში, „ქართული ოცნება“ ცდილობს შექმნას მტრის ხატი, რომლის მიზანიც საქართველოში „**ეროვნული და რელიგიური იდენტობის წაშლაა**“. მათი რიტორიკა ეყრდნობა „რუსკი მირის” (რუსული სამყარო) კონცეფციას, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება ანტილიბერალური და ანტიდემოკრატიული სამყაროს პარადიგმას. წინა პლანზე წამოწეულია სარწმუნოებისა და ეროვნულობის დაცვის იდეები, მაგრამ მათი მიზანი დასავლეთის სახით, მტრის ხატების შექმნა და გავრცელებაა.

„ქართული ოცნების“ ანტიდასავლურ გზავნილებში შემდეგი თემატური ნარატივები გამოიკვეთა:

1.2.1. დასავლეთის დემონიზება

დასავლეთი „ქართული ოცნების“ რიტორიკაში გადაიქცა მტრად, რომლისგანაც ხელისუფლება ქვეყანას იცავს. დასავლეთთან შედარებით, საბჭოთა რეჟიმიც კი წარმოჩენილია უფრო კეთილმოსურნე ძალად, რადგან „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის თქმით, „[...] *რასაც არ კადრულობდა 80 იან წლებში **საბჭოთა ცეკა**, ის გვესმის **ჩვენ კონკრეტული ჩინოვნიკებისგან ამერიკიდან და ევროპიდან.“***

გარდა ამისა, „ქართული ოცნება“, მისი სატელიტები და პროპაგანდისტები იყენებენ ისტორიულ ფაქტებს კონტექსტის გარეშე, რათა დღევანდელი ლიბერალური დემოკრატიები წარმოაჩინონ, როგორც ავტორიტარული და რეპრესიული იდეოლოგიების პოტენციური გამგრძელებლები. ბოლშევიზმთან და ფაშიზმთან პარალელები მიზნად ისახავს საზოგადოებაში სკეპტიციზმის გაღვივებას ევროკავშირისა და დასავლეთის მიმართ.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 14 მაისი: „**საბჭოთა ცეკა** რასაც აღარ კადრულობდა 80-იან წლებში, შეიძლება რასაც კადრულობდა 30-იან წლებში და ცოტა მოგვიანევით, რასაც არ კადრულობდა 80 იან წლებში საბჭოთა ცეკა, ის გვესმის **ჩვენ კონკრეტული ჩინოვნიკებისგან ამერიკიდან და ევროპიდან.“**

მაია ბითაძე, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 10 მაისი: „იმიტომ, რომ ამ პლანეტაზე დიდი სახელმწიფოების ჭიდილის ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ შევინარჩუნოთ არათუ ჩვენი იდენტობა, ისტორია და რელიგია, არამედ აქ არის გადარჩენაზე საუბარი…ევროკავშირში წევრობა საქართველოს მოსახლეობას იმიტომ არ უნდა, რომ საიდანღაც იმართოს. საქართველოს მოქალაქისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, საიდან მიიღებს დირექტივას, **ბრიუსელიდან, მოსკოვიდან თუ ნებისმიერი სხვა დედაქალაქიდან…“**

თამარ ჩიბურდანიძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი, 2 მაისი: „რასა იუკნევიჩიანეს მსგავსი პოლიტიკოსები გვახსენებენ იმ ფაქტს, რომ **ბოლშევიზმიც, ფაშიზმიც და აგრესიული ლიბერალიზმიც ევროპის პირმშოა,** რომლის დავიწყებაც გვინდა, მაგრამ სამწუხაროდ, თავად არ გვავიწყებენ.“

ნანა კაკაბაძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის, „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წარმომადგენელი, 9 მაისი: „[თანამედროვე ქართველების ის ნაწილი, რომლებიც საკუთარ თავს მედასავლეთეებს და პატრიოტებს ეძახის] იგივე ადამიანები მოგვიწოდებენ ევროპისადმი უპირობო მორჩილებისკენ. არადა, ევროპიდან ყველაფრის თვალდახუჭული მიღება იმის დავიწყებას ნიშნავს, რომ **ფაშიზმის სამშობლოც ევროპაა და არავინაა იმისგან დაცული**, რომ ისევ იქიდან არ მოდიოდეს ლამაზად შეფუთული მსგავსი იდეოლოგია.“

1.2.2. აშშ-ს დადანაშაულება

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნება“ ღიად ადანაშაულებდა როგორც პრეზიდენტ ჯო ბაიდენის, ასევე დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას და ამერიკის შეერთებულ შტატებს, თითქოს ისინი აფინანსებდნენ ძალადობრივ ჯგუფებს და ლგბტ „პროპაგანდას“, ცდილობდნენ ხელისუფლების შეცვლას საქართველოში და მისთვის „ძირის გამოთხრას“, ებრძოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიასა და „ტრადიციულ ფასეულობებს“; ახორციელებდნენ მტრულ პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ ან „დიფ სთეითის“ დამარცხებისთვის ქმედით ზომებს არ იღებენ. ტრამპის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით, ირაკლი კობახიძე აშშ-ის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტისვთის გაგზავნილ ღია წერილში აღნიშნავდა, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის მხრიდან უპასუხოდ დარჩა რამდენიმე კვირის წინ ქართულ - ამერიკულ ურთიერთობებთან დაკავშირებით მიწერილი წერილი, რომელშიც გამოხატული იყო მზაობა ურთიერთობების „სუფთა ფურცლიდან“ დაწყებაზე, და მიიჩნევდა, რომ ეს გასაკვირია, რადგან „ქართულ ოცნებასა“ და აშშ-ის ამჟამინდელ ადმინისტრაციას შორის ღირებულებითი თანხვედრაა. სწორედ ამ და „ბოლოდროინდელ მოვლენებზე“ მითითებით კობახიძე მიიჩნევდა, რომ ტრამპის ადმინისტრაციის „განცხადებები „დიფ სთეითის“ დამარცხების შესახებ მხოლოდ ამ უკანასკნელის რებრენდინგის მცდელობაა და სხვა არაფერი.“

> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 8 მაისი: „აშშ-ის ყოფილმა ადმინისტრაციამ [ბაიდენის ადმინისტრაცია] გაიფუჭა ურთიერთობა თავისივე ქმედებებით, რადგან ცდილობდა ხელისუფლების შეცვლას და გართული იყო საქართველოს ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრით; იმისთვის, რომ აფინანსებდა მოძალადე ჯგუფებს, პროპაგანდას, დეზინფორმაციას, **საქართველოს ეკლესიაზე თავდასხმას**. პირდაპირ აფინანსებდა იმ ჯგუფებს, რომლებიც თავს ესხმიან ქართულ ეკლესიას; იმ ჯგუფებს, რომლებიც **ყალბ იდეოლოგიას** ავრცელებდნენ საქართველოში.“

> ირაკლი ზარქუა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 15 მაისი: „როცა დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია მოვიდა, გაგვიხარდა, რადგან მან ყველა ამხილა. აქამდე ვამბობდით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები აფინანსებდნენ **ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას** და ლგბტ პროპაგანდას. ახალმა ადმინისტრაციამ ეს ფონდები გააშიშვლა, თუმცა ბოლო პერიოდში გამოიკვეთა, რომ „**დიფ სთეითი**“ არ ჩერდება. მათ მიერ მხარდაჭერილი „მეგობრული აქტი“ მავნებლური

და მტრული აქტია საქართველოს წინააღმდეგ. [...] ბაიდენის ადმინისტრაციის დროს დღე არ გავიდოდა, რომ თეთრი სახლის პრესმდივანს საქართველოს ხელისუფლება, **ქვეყანა და ეკლესია არ გაეშავებინა.** ეს ახლა არ ხდება და ამისთვის მადლობას ვიხდი. ასევე, ჩვენ რამდენიმე საკითხში დავემთხვიეთ, რომელთა შორისაა ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა და ოჯახური ღირებულებები, თუმცა, სამწუხაროდ, ამის იქით ვერ წავედით.

ზურაბ ქადაგიძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 6 მაისი: „მათ უნდა დავანახოთ რომ რეალურად ჯო ვილსონის ასარევი საქართველოში არაფერი არ არის და მისი სექტანტი ხელქვეითების, ზურაბიშვილის თამადობით.“

1.2.3. ქრისტიანობის, „ტრადიციული ღირებულებებისა“ და სუვერენიტეტის დაცვა „უცხო გავლენის“ წინააღმდეგ

„ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის კონსპირაციული განცხადებების მიხედვით, „გავლენიანი ძალების“ მიზანია, დააკნინონ საქართველოს სუვერენიტეტი, ეკონომიკა და ეროვნული იდენტობა, ქართველებს თავს მოახვიონ სიძულვილი ქართული სახელმწიფოს, მართლმადიდებელი ეკლესიისა და ერთმანეთის მიმართ, ისტორიის მანიპულაციით და ტრადიციული ღირებულებების უარყოფით, დაასუსტონ საზოგადოების ერთიანობა. ზოგიერთი მათგანი მიმდინარე პროცესებს უწოდებს „რელიგიურ ომს“, სადაც საქართველოში და ევროპაშიც, ქრისტიანობას ებრძვიან „რელიგიად ქცეული“ ულტრა-ლიბერალური და „ფაშისტური“ იდეოლოგიები.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 7 მაისი: „დღეს სამყარო ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას: ვხედავთ, როგორ ცდილობენ გავლენიანი ძალები, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი დაათმობინონ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებსაც კი; ვხედავთ, როგორ ანგრევენ მრავალი ქვეყნის ეკონომიკას; ვხედავთ, როგორ თელავენ ფეხქვეშ დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტარულ პრინციპებს იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ამ პრინციპების სამშობლოდ მიიჩნევიან; ვხედავთ, როგორ ცდილობენ **ეროვნული და რელიგიური იდენტობა წაუშალონ** უძველესი კულტურის მქონე ქვეყნებს; ვხედავთ, როგორ **ებრძვიან ქრისტიანობას და სხვა ტრადიციულ რელიგიურ აღმსარებლობებს**.“

ირაკლი კობახიძე, 7 მაისი: „ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობენ ქართველებს გარედან თავს მოგვახვიონ ერთმანეთის სიძულვილი, როგორ ცდილობენ დათესონ სიძულვილი ყველაფერი ქართულის - მათ შორის ქართული სახელმწიფოს და **ჩვენი დედა ეკლესიის მიმართ**. ქართული პოლიტიკიდან რადიკალების ჩამოშორების შემდეგ, რაც ძალიან მალე მოხდება, ჩვენ აუცილებლად დავამარცხებთ სიძულვილს, დავიბრუნებთ **გზასაცდენილ თანამოქალაქეებს** და გავაერთიანებთ ჩვენს საზოგადოებას.“

ნინო წილოსანი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 7 მაისი: „ძალიან კარგად ვიცით, რომ პერიოდები იცვლება, დრონი მეფობენ და არა მეფენი, თუმცა უცვლელი რჩება ჭეშმარიტება, ეს ჭეშმარიტებაა ის ქრისტიანული ღირებულებები, რომელზეც როგორც ჩვენ, ასევე დასავლეთია დაფუძნებული და მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა, ეს არის გადაზრდილი **რელიგიურ ომში.** ფაქტობრივად, ქრისტიანობას, ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს ღირებულებებს და ფასეულობებს ებრძვიან რელიგიად ქცეული **ულტრა ლიბერალური თუ ფაშისტური ღირებულებებით** და იდეოლოგიით, ამიტომ ამ ბრძოლაში ვფიქრობ, რომ როგორც ყოველთვის ისტორიულად გაიმარჯვებს სწორი არჩევანი.“

გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 5 მაისი: „სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ „დიფ სთეითის“ ზეწოლით ბოლო წლებში იყო გარკვეული ზეწოლა **ულტრალიბერალური** მიდგომების მისაღებად, მათ შორის, კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, ყველაფერი მიმართული იყო იქითკენ, რომ ეროვნული და ქართული იდენტობა ყოფილიყო დაკნინებული. მადლობა ღმერთს ახლა ყველაფერი გამოსწორდება.“

1.2.4. დასავლური ფონდები, არასამთავრობო სექტორის საქმიანობისა და დაფინანსების საკითხი

„ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტი პარტიების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები ყალბ, ანტიქრისტიანულ იდეოლოგიას ავრცელებენ; ემსახურებიან უცხოურ ინტერესებს, და გადმოაქვთ დასავლური ფაშისტური ტენდენციები.

„ქართული ოცნება“ არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციისთვის კვლავ მანიპულაციურად იყენებს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელს. მათი მთავარი

გზავნილია, რომ არსებობს „დიპ სტეიტი“ და „დაფინანსება“, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობას, ეკლესიას, ტრადიციებს და ღირებულებებს ებრძვის. ეს საქმიანობა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც „აგენტურად“ განიხილებიან. „ქართული ოცნების“ დაუსაბუთებელი განცხადებით, წარსულში USAID-ის, NED-ის, და დღემდე ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დახმარების მიზანი და დავალება საქართველოში რადიკალიზმისა და სიძულვილის გაღვივება, რევოლუციების მოწყობა, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა და პატრიარქის წინააღმდეგ სიძულვილის დათესვა იყო.

> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 14 მაისი: „კიდევ ერთხელ გავიმეორებ, 30 წლის წინ რასაც აკეთებდა „კაგებე“ საქართველოში, იმის შემდეგ, 30 წელია, არავის ამდენი სიძულვილი არ დაუთესია საქართველოში, რაც დაითესა USAID-ის, NED-ის და სხვა სუბიექტების მეშვეობით….პირდაპირ ხომ ხელისგულზე დევს, USAID-ი, NED-ი აფინანსებდნენ, მაგალითად, ორგანიზაციებს, რომლებიც პირდაპირ დაკავებული იყვნენ სიძულვილის **დათესვით მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ**. [...]და თქვენ წარმოიდგინეთ, კონკრეტულ NGO-ებს, პარტიებს, მედიასაშუალებებს აფინანსებდნენ, რომელთაც ჰქონდათ პირდაპირ დავალება მიცემული, რომ დაეთესათ სიძულვილი მართლმადიდებელი ეკლესიის და **მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების წინააღმდეგ, პატრიარქის ჩათვლით**.“

> სოზარ სუბარი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი, „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე, 8 მაისი: „[გარე ძალებისგან მართულ ადამიანებსა და არასამთავრობოებს] ძალიან თამამად შეუძლიათ გაყიდონ საქართველო, ჩართონ ომში, დააწესებინონ ქვეყნისთვის დამაზიანებელი სანქციები, ნებისმიერ ქვეყანას, რომელზეც გარედან მოვა ბრძანება. **სამშობლო, ღმერთი, სარწმუნოება, ყველაფერი მათთვის უცხოეთმა ჩაანაცვლა** და რომელიმე საელჩოს ნათქვამმა.“

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ, ფეისბუკის გვერდზე, აშშ-ის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტისვთის გაგზავნილი წერილი გამოაქვეყნა. წერილში საქართველო-ამერიკის უერთიერთობის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყების მოლოდინთან ერთად, საუბარია „დიპ სტეიტზე“, „მეგობარ აქტზე“ და აშშ-ის დაფინანსებაზე. ის „მეგობარ აქტს“, რომელსაც 27 მარტს, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა, „აბსურდულ და

მტრულ“ კანონად მოიხსენიებს. ე.წ. „მეგობარი აქტი“, რომელიც არის მტრულად გამსჭვალული ქართველი ხალხის და მის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ“. აღსანიშნავია რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ „მეგობარი აქტთან“ დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა „ქართული ოცნების“ პარლამენტმაც, სადაც ასევე საუბარია აშშ-ის მიერ გამოყოფილ დაფინანსებაზე.

> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 13 მაისი: „ღია წერილი. „მხოლოდ ამ ორ [ერაყი, ავღანეთი] მისიაში მონაწილეობით, ჩვენმა პატარა ქვეყანამ აშშ-ს 2.5 მილიარდი დოლარი დაუზოგა, რაც აშშ-ს ბიუჯეტიდან საქართველოსთვის გაწეულ რეალურ (!) დახმარებას მრავალჯერ აღემატება (რეალურ დახმარებაში არ ვთვლით თანხებს, რომელიც აშშ-ს ბიუჯეტიდან ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გადასარჩენად გამოიყო 2008-11 წლებში, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა **„დიფ სთეითის“ დავალებით, რუსეთთან ომი დაიწყო**; რეალურ დახმარებაში, ასევე, არ ვთვლით თანხებს, რომელიც ამერიკის საელჩოს, USAID-ის, NED-ის, სოროსის ფონდის და სხვა არხებით, საქართველოში რადიკალიზმისა და სიძულვილის გასაღვივებლად, რევოლუციების მოსაწყობად, **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმიჯის შესალახად**, **რელიგიური ექსტრემიზმის წასახალისებლად**, სახელმწიფო ინსტიტუტების დასასუსტებლად, გენდერული და ლგბტ-პროპაგანდის საწარმოებლად და სხვა მსგავსი მიზნებით გამოიყოფოდა).“

> „ქართული ოცნების“ პარლამენტის დადგენილება, 14 მაისი: „საქართველოში დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრას „დიპ სტეიტი“ და მისი ინსტიტუტები ცდილობდნენ. აღსანიშნავია, რომ 2023-2024 წლებში ქვეყანაში დემოკრატიაზე თავდასხმის მთავარი ხაზი უკავშირდებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, რომლებიც USAID-ის, NED-ისა და სხვა, მსგავსი ფონდების **დაფინანსების გამჭვირვალობასა** და **ლგბტ-პროპაგანდის შეზღუდვას** ითვალისწინებდა.“

1.3. ჰომოფობიითა და „ოჯახის სიწმინდით“ მანიპულაცია

1.3.1. 17 მაისი

17 მაისი, ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე (IDAHOT), რომელიც ემსახურება ლგბტქ ადამიანების უფლებების ხილვადობას და გმობს ძალადობას, საქართველოში 2014 წლიდან კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივით, „ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღით“ ჩანაცვლდა. ამ დღის დღესასწაულად გამოცხადებამდე, ერთი წლით ადრე, ძალადობრივმა ჯგუფებმა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილმა ჰომოფობიის წინააღმდეგ რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ადამიანები დაარბიეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ[2]. 2024 წელს „ქართულმა ოცნებამ“ 17 მაისი ოფიციალურ უქმე დღედ გამოაცხადა.

წინა წლების მსგავსად, 2025 წელსაც, ეს დღე მართლმადიდებელმა ეკლესიამ მასშტაბური საჯარო მსვლელობით აღნიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ მნიშვნელოვანი მობილიზაცია უზრუნველყო და მსვლელობაში მონაწილეობისთვის მასწავლებლები და სხვა საჯარო მოხელეები შეკრიბა.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისა და სასულიერო პირების რიტორიკაში ხაზგასმული იყო მიმდინარე ე.წ. გლობალური ბრძოლა „ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ“.

---

[2] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „უპრეცედენტო“ უწოდა 2013 წლის 17 მაისს თბილისში ლგბტ დემონსტრანტების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას და 193 500 ევროს გადახდა დააკისრა საქართველოს, რომლის „ხელისუფლების მდუმარე თანხმობითაც“ მოხდა აღნიშნული ძალადობა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს.სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა) და მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება), მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 17 მაისი: „წლებია ცდილობდნენ, რომ **გამოგონილი იდეოლოგიებით** განხეთქილება შეეტანათ საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი პატრიარქის ინიციატივით ეს დღე არა გახლეჩის, არა შუღლის, არა დაპირისპირების, არამედ ერთობის და სიყვარულის დღედ დაწესდა…. მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ დავეყრდნოთ არა **ხელოვნურ**, გამოგონილ, თავსმოხვეულ, **არაბუნებრივ იდეოლოგიებს**, არამედ იმას, რაც დროთა განმავლობაში გამოცდილია - ოჯახი, მშობლების პატივისცემა, ყველა ტრადიცია, რაც ოჯახის გარშემო არის, არის ის, რამაც ჩვენ შეგვქმნა საერთოდ ქართველებად და არის ის, რამაც, მათ შორის, ევროპულ ცივილიზაციად ჩამოაყალიბა. ამიტომ, დღევანდელი დღით და საქართველო თავისი ნაბიჯებით, იცავს მათ შორის ევროპულ ცივილიზაციას ხელოვნური იდეოლოგიებისგან და ახსენებს მას რა არის ცივილიზაციური არჩევანი“.

კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 17 მაისი: „არავის არ ვერჩით, არავის არ ვუპირისპირდებით, მაგრამ ის პროპაგანდა, რაც წლების განმავლობაში **გარედან თავსმოხვეული შემოდიოდა** ქვეყანაში და ფინანსდებოდა ძალიან დიდი თანხებით კატეგორიულად მიუღებელია.“

თამარ ჩიბურდანიძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელი, 17 მაისი: „საქართველომ მარტომ და პირველმა გაარღვია ღირებულებათა ბრძოლის ის ველი, სადაც მთელი **ლიბერალური სამყარო** კლავდა და ანადგურებდა ყოველგვარ სიწმინდეს.“

ვლადიმერ ბოჟაძე, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 19 მაისი: „[ოპოზიცია]მათი მცდელობა გაემიჯნონ **ეკლესიას, გაემიჯნონ მრევლს, გაემიჯნონ ქრისტიანულ ღირებულებებს** კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათთვის მთავარია მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური და პარტიული ინტერესები და არ არსებობს რაიმე ღირებულება, რომელიც მათ შეიძლება აკავშირებდეს ქართველ ხალხთან.“

ირაკლი ჩიხლაძე , პროპაგანდისტული სახელისუფლებო არხის, გადაცემის, „იმედის კვირის“ წამყვანი, 18 მაისი, „[რადიკალები-აქტივისტები, მედია] სახეზეა **ანტისახელმწიფოებრივი**, **ანტიმართლმადიდებლური** და ანტიქართული პოლიტიკის პირდაპირი დეკლარირება. ვიხილეთ სასოწარკვეთაში ჩავარდნილი ათამდე რადიკალიც, მათ ყურადღების მიქცევა ისევ **ლიბერალური ფაშიზმის**

> გამოვლინებით სცადეს… იგივე ადამიანები მთელი დღის განმავლობაში შეურაცხყოფდნენ ამ ქვეყნის ასიათასობით ადამიანის რელიგიურ გრძნობებს, სიტყვიერად ესხმოდნენ თავს უწმინდესს, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს, ყველას, ვინც განსაკუთრებული დამოკიდებულებით აღნიშნავდა 17 მაისს და მონაწილეობას იღებდა უწმინდესის მიერ დაარსებულ დღესასწაულში.“

1.3.2. სამოქალაქო აქტივისტების დისკრედიტაცია

6 მაიასს ტელეკომპანია იმედმა გააშუქა მალულად გადაღებული კადრები რეჟისორ დათა თავაძის ერთ-ერთი სპექტაკლიდან „Liberté“. ტელეკომპანია იმედის ინფორმაციით, ნაწყვეტში „*უცენზურო გამონათქვამები, ლგბტ პროპაგანდა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა*“ ისმოდა. ტელეკომპანიამ ასევე დაასახელა სპექტაკლში მონაწილე მსახიობებიც. აღნიშნულ ფაქტს, 8 მაისს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიც გამოეხმაურა, მათი შეფასებით ეს იყო „ღვთისმგმობელი წარმოდგენა და „მკრეხელობა“. იგი „განკვეთით“ დაემუქრა „ღონისძიების შემოქმედებს“.

„სამეფო უბნის თეატრის“ სპექტაკლზე, რომელიც შეიცავს ფრაგმენტებს მე-18 საუკუნის ფრანგი მწერლის, მარკიზ დე სადის ნაწარმოებიდან, „ფილოსოფია ბუდუარში ანუ უზნეო აღმზრდელნი“, 18 წლამდე ასაკის მაყურებელი არ დაიშვება. ასევე, ფოტო-ვიდეოგადაღება აკრძალულია. დათა თავაძე აქტიურად მონაწილეობს პროევროპულ დემონსტრაციებში და საჯაროდ აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას“, მისი ანტიდემოკრატიული პოლიტიკასა და ავტორიტარული მისწრაფებების გამო.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, აღნიშნული შემთხვევა, განზოგადების მეთოდით, მანიპულაციურად გამოიყენეს ოპოზიციისა და სამოქალაქო აქტივისტების, როგორც „ანტიეკლესიური ძალების“ დისკრედიტაციისთვის. ამ თემაზე განცხადებები გააკეთეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა, ვლადიმერ ბოჟაძემ, ლევან მახაშვილმა, ირაკლი კირცხალიამ.

1.4. „ქართული ოცნების“ პროპაგანდა ქართულ დიასპორასთან მიმართებით

2025 წლის 27 მაისს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი, „დიასპორა სამშობლოსთვის - ტრადიცია, ერთიანობა, განვითარება“ გაიმართა. ამ ღონისძიებაზე, მიმართვისას, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრმა, პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე ისაუბრეს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დიასპორასთან ქართული კავშირების გაღრმავებისა და შენარჩუნების მნიშვნელობაზე.

„ქართული ოცნება“ დიასპორასთან მიმართებით პოზიციონირებს, როგორც მათი სამშობლოსთან მაკავშირებელი ძალა, მაშინ როდესაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მათთვის საარჩევნო ხმის უფლების რეალიზება იყო. წინასაარჩევნო პერიოდში უცხოეთში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო სექტორმა, დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნის მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც მოთხოვნების უდიდესი ნაწილი არ დააკმაყოფილა. შედეგად, საარჩევნო უბნების რაოდენობა და ადგილმდებარეობა ვერ პასუხობდა ქვეყნის გარეთ მყოფი ამომრჩევლების გაზრდილ საჭიროებას.

> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 27 მაისი: „..განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ჩვენი დიასპორის სამშობლოსთან კავშირის გაღრმავებაზე, შენარჩუნებაზე. მინდა, მადლობა გადავუხადო ეკლესიის წარმომადგენლებს, ეპარქიებს, საზღვარგარეთ მოღვაწე ეპარქიებს, თითოეულ სასულიერო პირს, რომლებიც სწორედ ამ ძვირფას საქმეს ემსახურებიან…“

> მიხეილ ყაველაშვილი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი, 27 მაისი: „მათ ხელმძღვანელებს, სასულიერო პირებს განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი, რადგან უდიდეს შრომას ეწევიან და რამხელა ძალა აქვს, როდესაც არსებობს შესაძლებლობა, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მივიდნენ და ილოცონ. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს უწმინდესს და უნეტარესს, ჩვენს სინოდს გადაწყვეტილებისთვის, ეს მართლაც დიდი შეღავათია ჩვენი მოქალაქეებისთვის.“

> მაკა ბოჭორიშვილი, „ქართული ოცნების“ საგარეო საქმეთა მინისტრი, 27 მაისი: „ყველა ნაბიჯი, რასაც სახელმწიფო დგამს, მიმართულია ერთი მიზნისკენ, ჩვენს

თანამემამულეებს შევუნარჩუნოთ ქართული იდენტობა, სამშობლოსა და ქართულ კულტურასთან მაკავშირებელი ძაფები. სამშობლოსგან მოშორებული ადამიანის ემოცია განსაკუთრებით მძაფრია - სიყვარული უფრო მკვეთრი, მონატრება კი სულისშემკვრელი. ამ ემოციის გაზიარებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს ჩვენს ეკლესიას. ფასდაუდებელია ქართული სამრევლოების როლი მამულს დაშორებულებისთვის ენისა და სარწმუნოების შენარჩუნების საქმეში.“

2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიულ, ანტიევროპულ კურსსა და პროპაგანდისტულ განცხადებებს.

2.1. განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და პატიმრებზე

ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 23 მაისი: „საუკუნეთა განმავლობაში სიმართლისათვის ბრძოლას თან სდევდა მსხვერპლი. თავად ჩვენი მაცხოვარი — უდანაშაულო და შეუბღალავი — გახდა უსამართლობის მსხვერპლი, და მაინც, თავისი ჯვარცმით მოგვანიჭა ახალი, ჭეშმარიტი და მარადიული სიცოცხლე. სწორედ ამიტომ, ყოველ ასეთ ბრძოლას, რომელიც არა შურისძიებას, არამედ სიმართლეს, ღირსებასა და თავისუფლებას ემსახურება — მუდამ აქვს ღრმა მნიშვნელობა და ქრისტესმიერი ძალა. მტკიცედ მწამს, რომ დღევანდელი სინდისის პატიმრების ტკივილი და თავგანწირვა არ იქნება ამაო. სიმართლის გზა ხანგრძლივია, მაგრამ მისი დასასრული — აღდგომაა. და ის, ვინც დღეს, სხვისი ჩაგვრით, უსამართლობითა და ძალადობით თვლის თავს „გამარჯვებულად“, მხოლოდ დროებითი სიშავის ცრუ დიდებით ცხოვრობს. ისტორია კი არ ივიწყებს —, ვინც სამართალს ფეხქვეშ თელავს, საბოლოოდ, ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება.“

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი 24 მაისი: „სიმართლისთვის დევნა ეს არის ყველაზე დიდი სიამოვნების მომნიჭებელი ადამიანისთვის. იმიტომ რომ, ადამიანისთვის და მით უმეტეს ქრისტიანისთვის, გამარჯვება არის როცა მართალი ხარ. აი მართალი რომ გცემონ, ქუჩაშიც ესეა, სახლშიც ყველგან ესეა, ოჯახშიც ესეა, თუ შენ მართალი ხარ რომ გცემონ მაინც გამარჯვებული ხარ და ამიტომ ესენი მართალი არიან…“

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი, გიორგი ჯამდელიანი გამოეხმაურა პოლიტპატიმარი ჟურნალისტის, მზია ამაღლობლის სასამართლო პროცესს.

გიორგი ჯამდელიანი, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი, 28 მაისი: „დაზარალებულმა სასამართლოზე განაცხადა, რომ კანონი უნდა აღსრულდეს და ამ კანონით ქალს სილის გაწვნისთვის 4-დან 7-წლამდე პატიმრობისთვის იმეტებს. მე მესმის, რომ სახელმწიფო ინსტიტუციებზე ხელის აღმართვა ყოვლად დაუშვებელია და მას ყოველთვის უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება, თუმცა შეუსაბამოდ მიმაჩნია მსგავსი სიმძიმის სასჯელი, მიუხედავად იმისა, რომ მე როგორც მღვდელმთავარი და ამავდროულად რიგითი მოქალაქე, ამ ქალბატონის პოლიტიკურ შეხედულებებს არ ვიზიარებ. ჩემო ქრისტესმიერო ძმაო და შვილო, განა შენ არ გაგზარდა ქართველმა დედამ, გყავს და ან მეუღლე, განა უცხოა შენთვის მორალური კანონები - შენდობა და პატიება, რომელიც ხშირად აღემატება დაწერილ კანონებს. „რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ“. მიუტევეთ და მოგეტევებათ.“

ზენონ იარაჯული, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსი, ფეიბუქ პოსტი, 6 მაისი: „გიორგობის დღესასწაულს გილოცავთ ძვირფასო ადამიანებო. გილოცავთ ყველას, ვისაც არ გსურთ სამზერიდან უმზერდეთ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის უბოროტეს მტერს, რომელსაც სურს ჩვენი მენტალური დაბეჩავება და ჩვენი მიწების დაკავება. წმიდა გიორგის მოწამეობრივი აღსრულების დღეს ვულოცავ მათ, ვინც თავდადების და შემგუებლობის დაზავებაზე უარს ამბობს სამშობლოს სიყვარულის, მიწა-წყალთან ორგანული კავშირისა და რაინდული სულისკვეთების გამო. ვულოცავ მათ, ვინც სამშობლოს სიყვარულისთვის შეავიწროვეს, დააპატიმრეს ან მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნეს.“

თამაზ ლომიძე, დეკანოზი, ფეისბუქ პოსტი, 23 მაისი: „ეს დავიჭიროთ, ისიც დავიჭიროთ, ყველა დავიჭიროთ, ყველა გავაჩუმოთ, ქვეყნიდან გავყაროთ! ეს რა უბედურება ხდება საქართველოში?! როცა ქვეყანა ყვარყვარე თუთაბერის ციხეს დაემსგავსა, ხომ უნდა მიხვდე ხელისუფალი, რომ არ მიდის ქვეყანა სიკეთისკენ. დღეს უსამართლოდ ციხეში რომ შეყარე, იმ ხალხს ცოლ-შვილი დარჩა გარეთ, მშობლები, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები და გგონია, რომ ეს ყველას გააჩუმებ და დაავიწყებ ყველაფერს? მაშინ, გარეთ ვინც დარჩა, ისიც უნდა დაიჭირო და შემდეგ იმათი ახლობლები, შემდეგ მათი ახლობლებიც და ასე დაუსრულებლად. ამას უპირებთ ხალხს და ქვეყანას? რაც უფრო მეტ ადამიანს სცემთ, დაჩაგრავთ და უსამართლოდ ციხეში გამოკეტავთ და გაამწარებთ, იმდენ ბომბს უდებთ საკუთარ თავს. ამდენს როგორ ვერ ხვდებით? სოლიდარობა ყველა სინდისის პატიმარს.“

გიორგი წეროძე, მღვდელი, ფეისბუქ პოსტი, 23 მასი: „დღეს, გამოგონილი ბრალდებით, დააკავეს პოლიტიკოსი, რომელმაც ცხოვრება საქართველოს თავისუფლებას მიუძღვნა. ის არც პირველია ამ ბრძოლაში და არც უკანასკნელი. ერთმა ძლიერმა ემოციურმა დეტალმა ალბათ ბევრი ადამიანის გული შეძრა და მეც თვალცრემლიანს სამღვდელო მსახურების მთავარი პრინციპი გამახსენა: ბორკილების დადებამდე მან მეუღლეს საქორწინო ბეჭედი გადასცა – ერთგულებისა და მსხვერპლის ნიშანი. მღვდლად გამორჩევის შემდეგ ჯვრისწერის ბეჭედს ჩვენც, სასულიერო პირებიც აღარ ვატარებთ, უფრო დიდი ოჯახის, ეკლესიის მსახურების ნიშნად. ამ ადამიანმაც Zurab Girchi Japaridze, ბეჭდის გადაცემით, ჩვენი ქვეყნის სიყვარულისა და სიმართლის ერთგულებისკენ მოგვიწოდა. უსამართლობასთან, ჩაგვრასა და ტყუილთან შეგუება სულის ხრწასა და თავის დაღუპვას ნიშნავს. ჩვენი ბრძოლა ურყევად გრძელდება. ეს ბეჭედი, ეს ჟესტი, ჩვენი ერთიანობისა და წინააღმდეგობის სიმბოლოა. როგორც მღვდელი, თქვენთან ვარ სიმართლისთვის.“

მაქსიმე ჩხეიძე, მღვდელი, ფეისბუქ პოსტი, 23 მაისი: „თავისუფლება პიროვნების უმთავრესი ღვთიური ბეჭედია, ამიტომ (განურჩევლად მოძალადის სტატუსისა,) ნებისმიერი სუბიექტური მიზეზით სხვისი თავისუფალი არჩევანის შეზღუდვა/მოპარვა (მითუმეტეს ერზე), ღვთის უარყოფაა, სულიწმიდის გმობის გზაზე შედგომაა, რომელიც სხვა არრაა, თუ არა უფლისადმი მოტევების თხოვნის

შეუძლებლობა, როცა კეთილი აღარაფერი რჩება მოძალადის გულში, რაც მას დემონის მსგავს არსებად, - წარწყმედის შვილად აქცევს.“

2.2. განცხადებები ოჯახის სიწმინდესა და ჰომოფობიაზე

მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი გამოეხმაურა „ოჯახის სიწმინდის დღის“ აღნიშვნას. მაგალითად, არქიმანდრიტმა ილია ჯინჯოლავამ ქრისტიანული თვალსაზრისით, ვრცლად ისაუბრა ამ დღის თეოლოგიურ გაუმართლებლობაზე.

მან გააკრიტიკა 17 მაისის, როგორც „ოჯახის სიწმიდის დღის“ დაწესება და აღნიშნა, რომ თეოლოგიურად მიუღებელია ოჯახისთვის სიწმინდის განსაზღვრა კონკრეტული დღის მეშვეობით. მისი აზრით, ოჯახი წმინდაა არა კონკრეტული რიტუალური აღნიშვნით, არამედ ყოველდღიური სულიერი ცხოვრებით, ქრისტესთან მჭიდრო კავშირით, ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით.

> ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, ფეისბუქ პოსტი, 17 მაისი: „ოჯახის სიწმიდის დღის“ თეოლოგიური გაუმართლებლობა: „ნეტარ არიან წმიდანი გულით, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ“ (მათ. 5:8). …ეკლესია, როგორც ღვთისგან დაფუძნებული და ქრისტეს მადლით შემკული ორგანიზმი, თავად ადგენს დღესასწაულებს და განასხვავებს, რა არის სულიერი ღირებულების მატარებელი. **ოჯახის სიწმიდის დღის დაწესება არის ეკლესიის ტრადიციის დამახინჯება, რადგან ის წარმოადგენს ადამიანის მცდელობას, დაამატოს წმიდა დღეებს ახალი ფორმალური რიტუალი, რაც ეკლესიის სულიერ მემკვიდრეობას ეწინააღმდეგება**. ეკლესიის სულიერი ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ოჯახმა ყოველდღიურად იცხოვროს ქრისტესთან, არა მხოლოდ სიმბოლური დღის აღნიშვნით, არამედ ჭეშმარიტი სულიერი ერთობით. ოჯახის სიწმიდე ხორციელდება სიყვარულში, ურთიერთპატივისცემაში და ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობაში, და ეს არის ის, რაც მას მარადიულ სიწმიდეს ანიჭებს.“

მღვდელმა ლეონ გელოვანმა ასევე აღნიშნა, რომ ჰომოფობია და ნებისმიერი სხვა სახის სიძულვილი ცოდვაა.

> ლეონ გელოვანი, ფეისბუქ პოსტი, 17 მაისი: „...შესაბამისად, რაც არ უნდა იმსჯელონ თუ იკამათონ ეკლესიებმა იმის შესახებ, რა არის ცოდვა და რა - არა,

> რომელ მხარესაც არ უნდა მიემხროს ნებისმიერი ქრისტიანი, **ერთი რამ ცხადი და ჭეშმარიტია - ჰომოფობია და ნებისმიერი სახის სიძულვილი სხვა, მით უმეტეს განსხვავებული ადამიანის მიმართ, არის ცოდვა, ის ცოდვა, რომელსაც უნდა განეშოროს ყოველი მორწმუნე.** ოჯახის სიწმინდე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნამდვილი და ჭეშმარტი, თუ ამ ოჯახში სიძულვილი არ სუფევს არც საკუთარი თავის და არც სხვა ადამიანთა მიმართ.“

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის ჰომოფობიური და ანტიდასავლური განცხადებები

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აგრძელებდა, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას.

მაგალითად, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, შიო მუჯირმა ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღესთან დაკავშირებით ქადაგებისას „ქართული ოცნების“ პროპაგანდის თანმხვედრი განცხადება გააკეთა, რომ არსებობს ბოროტი ძალები, ვინც მიზანმიმართულად ებრძვის ოჯახს და სახელმწიფო სუვერენიტეტს ტექნოლოგიებისა და თეორიების მეშვეობით. ამავდროულად, მადლობა გადაუხადა „ქართულ ოცნებას“ რომ მიიღო კანონები „სოდომური ცოდვის პროპაგანდის წინააღმდეგ“ და „გენდერული იდენტობის ცნების ამოსაღებად“.

> „უკვე გითხარით, რომ მიზანმიმართული ბრძოლა მიდის ოჯახის წინააღმდეგ ბოროტი ძალების მიერ, სხვადასხვა მავნე ტექნოლოგიის მეშვეობით, თეორიების მეშვეობით. ეს ძალები ებრძვიან არა მარტო ეკლესიას და ეკლესიურ ოჯახებს, არამედ, ზოგადად, ტრადიციულ ოჯახს. მინდა, ასევე ვთქვა, რომ ისინი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნებასაც ებრძვიან, რადგან, როგორც გითხარით, ოჯახი არის მცირე ეკლესია და დიდი ეკლესიის ნაწილი… ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ტრადიციული ღირებულებების დაცვის მიმართულებით ძალიან სასიკეთო, ქმედითი და გაბედული ნაბიჯები გადადგა. ვგულისხმობ შარშან მიღებულ კანონს სოდომური ცოდვის პროპაგანდის წინააღმდეგ და ასევე გენდერული იდენტობის ცნების ამოღებას კანონებიდან.

> დღეს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები აქ ბრძანდებიან. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ამ გადაწყვეტილებისთვის მადლობა გითხრათ, დაგლოცოთ“.

ბოდბის მთავარეპისკოპოსის იაკობ იაკობაშვილის 6 და 29 მაისის ქადაგებები ანტიდასავლურ გზავნილებსა და „ქართული ოცნების“ ოპონენტების დისკრედიტაციას ეფუძნებოდა:

გზავნილი: პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობა და ევროკავშირისკენ სწრაფვა დამოუკიდებლობის ჩანაცვლებაა.

> „ეს დამოუკიდებლობა ვინმეს უნდა ვანაცვალოთ? ან რუსეთს, ან ევროპას, ან ნებისმიერს, უნდა ვანაცვალოთ? ჩვენ ხომ თავისუფალი ადამიანები ვართ, ჩვენ ხომ გვინდა, რომ ყველა ერთან გვქონდეს სამართლიანი და თანასწორი ურთიერთობები. რას ჰქვია დიდი ძმა ან დიდი და. პატარა ძმა რატომ უნდა ვიყო ვინმესთვის. თუ დაბადებული ვარ, ჩემზე დიდი ხნის ხარ როგორც ერი, რომელიმე? რაც არ უნდა ხელი შეგვიშალონ, ქართველს მაინც ღმერთს ვერავინ წაართმევს და ღმერთს ქართველს ვერავინ წაართმევს, კარგად ვიცოდეთ…ზოგი ბალტიისპირეთში იყურება, ზოგი ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში იყურება, ზოგი იქით, ზოგი იქეთ და ერთმანეთს ვაზიანებთ. ცდილობენ ეკონომიკა ჩააგდონ, გადაკეტონ გადმოკეტონ და ვის უკეტავ, ხომ მე მიკეტავ და მოდი დამელაპარაკე“.

გზავნილი: ახალგაზრდები უცხოელების მიერ იმართებიან და ევროპა საქართველოს საქმეებში ერევა.

> „..ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ ცუდი ის არის, ძალიან ბევრს ანალიზის უნარი არ აქვს - რასაც ჩასძახებენ უცხოელები, იმას იჯერებენ. ეგ კი არა, ჩვენ რომ ჩავძახოთ, ისიც არ უნდა დაიჯერონ. კრიტიკული აზროვნება უნდა ჰქონდეს კაცს. როცა ვიცი, რომ ჩემთან [ქვეყანაში] არჩევნები ჩატარდა და მეუბნები, რომ არ მაწყობს. მოლდოვა და რუმინეთი ხომ არ გგონივარ, ან კიევი?! სააკაშვილიც მოიყვანეს [ხელისუფლებაში] და რა გააკეთებინეს მერე ხომ ხედავთ?! ქართველები უნდა გამოვფხიზლდეთ და როგორღაც გავერთიანდეთ. დღეს ახალგაზრდები რომ ციხეში არიან, ხომ იმ ხალხის ბრალია, ვინც ისინი იქ [აქციაზე] მიიყვანა?! არა კაც კლაო, ღმერთი გვეუბნება და ომის სპონსორობა მიდის.

> ირანელი დამპყრობელი იყო, რუსი, მონღოლი, თუ არაბი, დღეს ევროპელმა უნდა შემიცვალოს?!.“

ანტიდასავლურ განცხადებებს ავრცელებდა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე 15 მაისს მიმართვისას და 6 მაისს ქადაგებისას. ამავდროულად, იმეორებდა „ქართული ოცნების“ პროპაგანდას და მადლობას უხდიდა მას, რომ არ ჩართო საქართველო ომში და აკრძალა „გეი პროპაგანდა“.

> „კი ვხედავთ ახლა ჩვენ, შემოსევაა ათასი ურჯულოების, ათასი, ჯერ რა უქნეს მთელ ევროპას შეუსიეს ათასი ურჯულო და ბაბილონის გოდოლი გახადეს მთელი ევროპა, აი ასე უნდა საქართველოშიც და ჩვენ ამას ძალიან მტკიცედ უნდა დავუდგეთ და უნდა ვილოცოთ რომ ჩვენ მთავრობას მიეცეს იმის ძალა რომ როგორც დაიცვა მშვიდობა საქართველოში და არ ჩართო საქართველო ომში, როგორც აკრძალა ეს გეი პროპაგანდა და უარი უთხრა კატეგორიული უარი, აი ამ გეი პროპაგანდას და გეი პარადებს, ფუი ეშმაკს, აი ესევე ეს საკითხი მოაგვაროს, რომ დაიცვას ამ საშინელი დიდი თურქობისგან და რაც ხდება ევროპაში… რომ ამ საშინელ შემოტევას ჩვენი გადაგვარების მოსურნეების წინ აღუდგეს და საქართველო დაიცვა და დაიფაროს… ამიტომ მთელი ძალები გადმოსროლილია საქართველოზე, რომ საქართველოში ჩვენი საუძველი ჩვენი ზნეობა და სარწმუნოება შეარყიონ და აფინანსებენ ამ ენჯეოების საშუალებით და გარედან სატანური ძალების საშუალებით, აი ასეთ ხალხს რომლებმაც დაკარგეს სამშობლოს გრძნობა, გაიზარდნენ უღმერთობაში…“

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი წინა ქადაგებების მსგავსად 11 და 18 მაისს ქადაგებებისას აგრძელებდა ანტიდასავლურ და „ქართული ოცნების“ რიტორიკის თანმხვედრ განცხადებებს: „*აქტებს ღებულობენ თითქოს მეგობრულს, სინამდვილეში მტრულს აქტებს, ვითომ დადგენილებებს აქვეყნებენ. ჩვენთან თანამშრომლობა თუ უნდათ, ჩვენ არ ვემუქრებით და თვითონ რატო გვემუქრებიან*“.